

საქართველოს საბანკო სექტორში მოქმედი უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები

ვალერი მოსიაშვილი, ეკონომიკის დოქტორი.
ნათია ახალკაცი, მაგისტრანტი,

რეზიუმე

დღევანდელ დღეს საბანკო სექტორი შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მზარდი და ძლიერი სექტორია საქართველოს ეკონომიკაში. ქართული ბანკების მსოფლიო საბანკო სისტემაში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია ისეთი თანამედროვე საბანკო მომსახურების დანერგვა, როგორიცაა უნაღდო ანგარიშსწორება. წინამდებარე სტატიაში გავაყვით საქართველო საბანკო სექტორში მოქმედი უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების ანალიზი და შედარებითი დახასიათება, გადმოვეცით მათი უპირატესობების და ნაკლოვანების შესახებ მოკლე მიმოხილვა. აღნიშნული უნაღდო ანგარიშსწორების წესები შემუშავებულია საქართველოს საბანკო კანონმდებლობის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმებში, განსაზღვრავს ანგარიშსწორების ორგანიზებისადმი საერთო მიდგომას, აწესრიგებს უნაღდო ანგარიშსწორებას, ერთიან საბუთბრუნვას, საგადახდო საბუთების გამოყენებას, მათი შევსების, გაფორმების წესებს, ფორმატებს, არქივების წარმოებას, ადგენს საბანკო ანგარიშებით ოპერაციების წარმოების წესებს. მთლიანობაში განხილული გვაქვს უნაღდო ანგარიშსწორების შემდეგი სახეები: საგადახდო დავალება; საინკასო დავალება; დოკუმენტალური აკრედიტივი; დოკუმენტალური ინკასო; საბანკო პლასტიკური ბარათი; საანგარიშსწორებო ჩეკი.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სექტორი. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები. საგადახდო დავალება; საინკასო დავალება; დოკუმენტალური აკრედიტივი; დოკუმენტალური ინკასო; საბანკო პლასტიკური ბარათი; საანგარიშსწორებო ჩეკი. წინამდებარე სტატიაში მოკლედ განვიხილავთ თითოეული მათგანის ტავისებურებადა უპირატესობა/ნაკლოვანება ხავა სახის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმასთან მიმართებით.

Cashless payment forms in Georgian banking sector

Mosiashvili Valeri, Doctor of Economics
Akhalkatsi Natia, Master Student

Summary

We have tried to make analysis and characterization of the cashless payment forms of Georgian banking sector and we also have short review of their advantages and disadvantages in this article. The mentioned cashless payment rules are made according to Georgian Banking Legislation and other legislative acts, that determines the general approach of organization settlement, regulates cashless payment, united document turnover, usage of the payment documents, their supplement, decoration rules, formation of archives, formats, determines the formation rules of operations with bank accounts in Georgian territory, in the forms provided by the law. We review the following types of cashless payment: payment order; collection order; letter of credit; documented collection; plastic card; settlement cheque.

Keywords: Banking sector. Cashless payment forms. Payment order; Collection order; Letters of credit; Documented collection; Plastic card; Payment cheque. The article briefly reviews the features of them-advantage/disadvantage, compared with the other cashless payment forms.

* * * * *

საქართველოს საბანკო სექტორში მოქმედი უნაღდო ანგარიშსწორების წესები შემუშავებულია საქართველოს საბანკო კანონმდებლობის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმებში, განსაზღვრავს ანგარიშსწორების ორგანიზებისადმი საერთო მიდგომას, აწესრიგებს უნაღდო ანგარიშსწორებას, ერთიან საბუთბრუნვას, საგადახდო საბუთების გამოყენებას, მათი შევსების, გაფორმების წესებს, ფორმატებს, არქივების წარმოებას, ადგენს საბანკო ანგარიშებით ოპერაციების წარმოების წესებს. ეს წესები ვრცელდება სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ნებისმიერ ფიზიკურ (მათ შორის არასრულწლოვან ფიზიკურ პირებზე, სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში) ან იურიდიულ პირზე, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა,

აგრეთვე იმ ორგანიზაციულ წარმონაქმნებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობით აქვთ ანგარიშის გახსნის უფლება.

საქართველოში მოქმედი „უნაღდო ანგარიშსწორების წესების“ (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №166, 2007 წლის 26 ივნისი, „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესები“¹) შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებისას გამოიყენება: საგადახდო დავალება; საინკასო დავალება; დოკუმენტალური აკრედიტივი; დოკუმენტალური ინკასო; საბანკო პლასტიკური ბარათი; საანგარიშსწორებო ჩეკი. წინამდებარე სტატიაში მოკლედ განვიხილავთ თითოეული მათგანის ტავისებურებადა უპირატესობა/ნაკლოვანება ხავა სახის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმასტან მიმართებით.

ძირითადი ნაწილი. ანგარიშსწორება საგადახდო დავალებებით. არსებული პრაქტიკის შესაბამისად, საგადახდო დავალება² არის ანგარიშის მფლობელის (გადამხდელის) მიერ საგადახდო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულება მისი მომსახურე ბანკისათვის, სახსრების მიმღების ამავე ან სხვა ბანკში გახსნილ ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ. საგადახდო დავალება მომსახურე ბანკისადმი შესაძლოა წარედგინოს ელექტრონული შეტყობინების ან ქალაღდის საგადახდო დავალების (დოკუმენტალური ოპერაციების გარდა) სახით.

ბანკში საგადახდო დავალების ელექტრონული შეტყობინებების სახით წარდგენა (ან მისი გამოსახულების გადაცემა) ხდება საგადახდო საბუთების ელექტრონულად გაცვლის შესახებ ელექტრონული სისტემების, პროგრამულ-კრიპტოგრაფიული დაცვების და ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერების გამოყენების თაობაზე ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საგადახდო დავალების ელექტრონული შეტყობინებების სახით წარდგენისას, ბანკს ქალაღდის საგადახდო დავალება არ წარედგინება.

ელექტრონული საგადახდო საბუთი ელექტრონული შეტყობინებების სახით გასაცვლელად უნდა შეესაბამებოდეს: ა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს — ბანკთაშორის ანგარიშსწორების შემთხვევაში; ბ) კომერციული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს — სათავო ბანკსა და მის ფილიალებს შორის, აგრეთვე ბანკსა და კლიენტებს შორის (კლიენტი-ბანკით, ინტერნეტით, მობილური ტელეფონებით ან სხვ.) ანგარიშსწორების შემთხვევაში.

ბანკთაშორის ანგარიშსწორების სისტემისთვის გადასაცემი ელექტრონული საგადახდო საბუთი უნდა შეიცავდეს კანონმდებლობით დადგენილ, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ რეკვიზიტებს, გარდა იმ რეკვიზიტებისა, რომელთა გადატანაც ელექტრონულ

ფორმატში შეუძლებელია (ბეჭედი, შტამპი, ხელმოწერა), ამასთან იგი უნდა შეიცავდეს დამატებით რეკვიზიტებს — საბუთის უნიკალურ კოდს (რეფერენსს), ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერას. ბანკის საოპერაციო დღის სისტემაში ელექტრონულ საგადახდო საბუთს შესაძლოა ჰქონდეს სხვა დამატებითი რეკვიზიტებიც (მაგ., შიდა ოპერაციების განმკარგულებლების და შემსრულებლების კოდები, სპეციალური სისტემური ნიშნები, მიმდინარე სტატუსი და სხვ.). ინფორმაციის კომპიუტერულ ტექნიკაში შეტანის დროს ელექტრონულ საგადახდო დავალებაში ძირითადი ველების შეტანა ხდება უშუალოდ ქალაღდის საგადახდო დავალებიდან, ხოლო დამატებითი ველების წარმოშობა (ან გამოძახება) ხდება სისტემური საშუალებებით (პროგრამულ-ტექნიკური საშუალებები).

საგადახდო დავალების ელექტრონული სახით წარდგენისას სავალდებულოა დაცულ იქნეს მხარეთა შორის შეთანხმებული, არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებები. არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებები ითვლება შეთანხმებულად:

როდესაც კლიენტმა ხელშეკრულებით აღიარა ბანკის მიერ შეთავაზებული არასანქცირებული გადახდებისაგან დაცვის მოქმედებები;

თუ კლიენტმა არ მიიღო ბანკის წინადადებები და ბანკს შესთავაზა დაცვის სხვა წინადადებები, რომლებიც ბანკისათვის აღმოჩნდა მისაღები. ასეთ შემთხვევაში არასანქცირებული გადახდების დაცვის მოქმედებებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

კლიენტის მომსახურე ბანკის მიერ კორესპონდენტ ბანკში გადაცემული სანქცირებული ელექტრონული საგადახდო დავალება ჩაითვლება შეცდომით გადაცემულად, როდესაც საგადახდო დავალების რეკვიზიტები არ შეესაბამება გადამხდელის საგადახდო დავალების რეკვიზიტებს ან როდესაც საგადახდო დავალება გადაცემულია განმეორებით.

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მის მომსახურე ბანკში გადაცემული საგადახდო დავალება შეცდომითაა გადაცემული, კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შეატყობინოს ბანკს აღმოჩენილი შეცდომის შესახებ. კლიენტმა შეტყობინებაში უნდა ასახოს საგადახდო დავალების რეკვიზიტები და მის მიერ გამოვლენილი არასწორი რეკვიზიტები. თუ ბანკს არ წარედგინა ასეთი შეტყობინება, არასწორი რეკვიზიტებით გადაცემული საგადახდო დავალება ჩაითვლება შესასრულებლად მიღებულად და ბანკი პასუხს არ აგებს მისი შესრულების შედეგად დამდგარ ფაქტზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ შეცდომით გადაცემული საგადახდო დავალების გამო მომსახურე ბანკმა განიცადა ზარალი, კლიენტი პასუხისმგებელია ბანკისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზარალისათვის.

საგადახდო დავალების ქალაღდით წარდგენა. საგადახდო დავალება (მათ შორის საინკასო დავალება)

1 http://nbg.ge/uploads/legalacts/paymentsysmens/saqartv_unagdo_angarish_wesi_29_05_12.pdf

2 http://nbg.ge/uploads/legalacts/paymentsysmens/saqartv_unagdo_angarish_wesi_29_05_12.pdf

ბანკში წარსადგენად ძალაშია მისი გამოწერიდან ათი კალენდარული დღის განმავლობაში (გამოწერის დღის ჩაუთვლელად). საგადახდო დავალებები შესასრულებლად მიიღება კლიენტის ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობის შემთხვევაში (გარდა ბიუჯეტის და მასთან გათანაბრებულ გადასახდელებზე წარდგენილი საგადახდო დავალებებისა, რომლებიც მიიღება კლიენტის ანგარიშზე თანხების არსებობის მიუხედავად და აღირიცხება ვადაზე გაუნაღდებელი საბუთების კარტოთეკაში). საგადახდო დავალების კარტოთეკაში მოთავსების შემთხვევაში, საგადახდო დავალების ყველა ეგზემპლარის ზედა მარჯვენა კუთხეში კეთდება შენიშვნა კარტოთეკაში მოთავსების შესახებ, თარიღის ჩვენებით. კლიენტის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით შედგენილი ქალაქის საგადახდო დავალება ბანკს წარედგინება ერთ ეგზემპლარად, რომელიც წარმოადგენს დედანს.

საგადახდო დავალების კლიენტისადმი დასაბრუნებელი მეორე ეგზემპლარი (ან ნებისმიერი სხვა რაოდენობა, რომელსაც ბანკი განსაზღვრავს დამოუკიდებლად და აისახება ოპერაციების წარმოების შესახებ ბანკის მიერ გაცხადებულ პირობებში — შიდასაბანკო წესებში) არის მისი ასლი (გადაღებული ასლგადამღები ტექნიკით, სკანერით და ა.შ. — თუ ასლის გადაღება შესრულებულია ხარვეზების გარეშე). საგადახდო დავალების დედანი რჩება ბანკში და წარმოადგენს ოპერაციის შესრულების საფუძველს, ხოლო ბანკის პასუხისმგებელი მუშაკის ხელმოწერით და შტამპით დამოწმებული ასლი, სავალდებულო წესით, უბრუნდება კლიენტს.

კლიენტის მიერ ბანკში წარდგენილ საგადახდო დავალების ნაწილობრივი შესრულების პირობის მითითება დაუშვებელია. ბიუჯეტში გადასახდელებზე წარდგენილ საგადახდო დავალებებზე ხელმოწერა დასაშვებია განხორციელდეს მექანიკური საშუალებების გამოყენებით — ფაქსიმილით.

ანგარიშსწორება საინკასო დავალებებით. საინკასო დავალება არის საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი მესამე მხარის მიერ ბანკისთვის დადგენილი ფორმით მიცემული დავალება, გადამხდელის ანგარიშიდან მისი თანხმობის გარეშე ფულადი სახსრების უპირობო ჩამოწერაზე.

უდავო წესებით თანხების გადახდევინებას (ჩამოწერას) ახდენს: საქართველოს ეროვნული ბანკი; სააღსრულებო ბიუროები; კერძო აღმასრულებელი; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო („სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში); საჯარო სამართლის იურიდიული პირი — შემოსავლების სამსახური, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს პირისათვის გადასახდელთა დაკისრების უფლებამოსილება.

კერძო აღმასრულებელი გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების უდავო წესით ჩამოწერას ახდენს უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული

სააღსრულებო ფურცლების დედნის ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლებისა და სახსრების ჩამოწერის შესახებ მის მიერ შევსებული და სათანადო წესით დამოწმებული საინკასო დავალების (განკარგულების) საფუძველზე. საქართველოს ეროვნული ბანკი, სააღსრულებო ბიუროები, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი — შემოსავლების სამსახური გადამხდელის ანგარიშიდან სახსრების უდავო წესით ჩამოწერას ახდენენ მათ მიერ შევსებული და სათანადო წესით დამოწმებული საინკასო დავალების (განკარგულების) საფუძველზე. ბიუჯეტის გადასახდელების ამოღების მიზნით წარმოდგენილ საინკასო დავალებებზე (განკარგულებებზე) ხელმოწერა დასაშვებია განხორციელდეს მექანიკური საშუალებების გამოყენებით — ფაქსიმილით.

ბანკში წარდგენილი სააღსრულებო ფურცელი გაფორმებული უნდა იყოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. უდავო წესით სახსრების ჩამოწერის შესახებ საინკასო დავალების შესაბამის ველში უნდა მიეთითოს იმ ნორმატიული აქტის სახელწოდება და მუხლი (პუნქტი), რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სახსრების უდავო წესით ჩამოწერა. ამ ველში შეტანილი ინფორმაციის ნამდვილობისათვის ბანკი პასუხს არ აგებს. საინკასო დავალებაში მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი და ჩამოსაწერი თანხის ოდენობა, ხოლო საბანკო ანგარიშის მითითება, რომლიდანაც უნდა განხორციელდეს თანხების ჩამოწერა, სავალდებულო არ არის. იმ შემთხვევაში, თუ საინკასო დავალებაში მითითებულია საბანკო ანგარიში, საბანკო დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებელი პირი არ არის ვალდებული შეამოწმოს მითითებული ანგარიშის სისწორე და თანხის ჩამოწერას ახორციელებს მხოლოდ საინკასო დავალებაში მითითებული გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საბანკო დაწესებულებასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის ინფორმაციის (მათ შორის, საინკასო დავალების) ელექტრონულად გაცვლის შესახებ ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში საბანკო დაწესებულება ვალდებულია საგადასახადო და საბაჟო ორგანოს საინკასო დავალება ან დადებული ყადაღა ავტომატურად გაავრცელოს ბანკში არსებულ გადამხდელის (კლიენტის) ყველა ანგარიშზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საინკასო დავალებით წარდგენილი თანხა უდავო წესით ჩამოიწერება ერთხელ. თანხის ჩამოწერა შესაძლებელია როგორც ერთი რომელიმე ანგარიშიდან, ასევე გადამხდელის სხვა საბანკო ანგარიშებიდან ჯამურად, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სხვა ვალუტით გახსნილი ანგარიშიდან თანხების ჩამოწერისას, კონვერტაცია ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით,

ხოლო ბანკსა და კლიენტს შორის ანგარიშსწორების საკომისიო (გადარიცხვის საკომისიო, კონვერტაციის საკომისიო) განისაზღვრება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით.

უდავო წესით თანხების გადახდებიანების საფუძვლიანობისა და სამართლიანობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სახსრების ამომღებს და ამდენად ბანკი არ არის ვალდებული განიხილოს გადამხდელის პრეტენზიები სახსრების უდავო წესით ჩამონერის თაობაზე. უდავო წესით სახსრების ჩამონერის უფლებამოსილების მქონე ორგანოების საინკასო დავალებებს ერთმანეთის მიმართ აქვს გარკვეული უპირატესობა, კერძოდ:

საქართველოს ეროვნული ბანკის, სააღსრულებო ბიუროების, კერძო აღმასრულებლის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის — შემოსავლების სამსახურის მიერ წარდგენილ საინკასო დავალებათა შორის უპირატესობით სარგებლობს საქართველოს ეროვნული ბანკის საინკასო დავალება და მისი შესრულება უნდა განხორციელდეს პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, სხვა საინკასო დავალებებთან შედარებით რა ვადაში იყო წარდგენილი იგი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სააღსრულებო ბიუროების და კერძო აღმასრულებლის მიერ წარდგენილი საინკასო დავალებების შესრულება უნდა განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის — შემოსავლების სამსახურის მიერ წარდგენილი საინკასო დავალებების შესრულების შემდეგ საბანკო დაწესებულებებში მათი წარდგენის ქრონოლოგიური რიგითობით.

საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადებისას იზღუდება პირის უფლება განკარგოს თავის საბანკო ანგარიშზე არსებული ან რიცხული ფულადი სახსრები ყადაღის მოცულობის ფარგლებში. საგადასახადო ორგანოს მიერ ანგარიშზე ყადაღის დადების შემთხვევაში, ანგარიშის მფლობელი უფლებამოსილია დაყადაღებული ანგარიშიდან განახორციელოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდები საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, როგორც ყადაღისაგან თავისუფალი სახსრების ფარგლებში, ასევე ასეთი თანხების უკმარისობის შემთხვევაში დაყადაღებული თანხების ფარგლებშიც. სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადების შემთხვევაში აღნიშნული ანგარიშიდან გადახდები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყადაღისაგან თავისუფალი თანხების ფარგლებში.

ანგარიშსწორება აკრედიტივით. აკრედიტივით წარმოადგენს ემიტენტი ბანკის მყარ ვალდებულებას, საქონლის ან მომსახურების გამყიდველს გადაუხადოს განსაზღვრული ფულადი სახსრები საქონლის გაგზავნის ან მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების დროულად და სათანადოდ წარმოდგენისას. ამდენად, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები შეესაბამება აკრედიტივის მოთხოვნებს, გაგზავნილი საქონლის/გაწეული მომსახურების სა-

ფასურის გადახდა შესაძლებელია მყიდველის თანხმობის გარეშე.³

ამას გარდა, არსებობს აკრედიტივის განმარტების რამდენიმე ვარიანტიც, მაგალითად: 1. საბანკო ანგარიშის სახეობა, რომელიც კონტრაგენტს აძლევს შესაძლებლობას სააკრედიტივო დავალებაში მითითებული პირობების დაცვით საქონლის (მომსახურების, სამუშაოს) მიწოდების ვალდებულების შესრულებისთანავე, მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელო; 2. სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს იმ პირის უფლებას, რომელზეც გამოწერილია ფასიანი ქაღალდი, მიიღოს ბანკში დოკუმენტში მითითებული თანხა. 3. ბანკის ვალდებულება კლიენტის გაკოტრების შემთხვევაში გაანაღდოს მისი ფასიანი ქაღალდები. აკრედიტივის ნებისმიერი ფორმისას ბანკი იღებს ვალდებულებას კლიენტის სასარგებლოდ; 4. რწმუნების სიგელი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დიპლომატიური წარმომადგენლის რწმუნებებს; 5. მყიდველის დავალებით ბანკის მიერ გაცემული წერილობით აღიარებული ვალდებულება გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული თანხა გარკვეულ ვადაში. ამასთან, გადახდა შედგება იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი წარმოადგენს აკრედიტივით მოთხოვნილი საბუთების სრულ ნუსხას აკრედიტივით განსაზღვრულ ვადასა და ფორმაში⁴.

გადამხდელსა და მიმღებს შორის აკრედიტივით ანგარიშსწორება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №166, 2007 წლის 26 ივნისი, „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესები“) და საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დამკვიდრებული წესების შესაბამისად⁵.

ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოქმნილ პრეტენზიებს აკრედიტივის დავალების მიმცემი (გადამხდელი) და სახსრების მიმღები განიხილავენ ბანკის მონაწილეობის გარეშე.

3 <http://ge.vtb.ge/corporate/documentary/loc/>

4 http://www.tbcbank.ge/ge/corporate/finance_insurance_and_investment/international_trade_finance/letters_of_credit/

5 http://nbg.ge/uploads/legalacts/paymentsysmens/saqartv_unagdo_angarish_wesi_29_05_12.pdf

აკრედიტაციის უპირატესობები ⁶	
ექსპორტიორისათვის	იმპორტიორისათვის
(გამყიდველისათვის)	(მყიდველისათვის)
ბანკი შეასრულებს აკრედიტაციით განსაზღვრულ გადახდას მყიდველისაგან დამოუკიდებლად.	აკრედიტაციის გახსნით იმპორტიორი ადისტურებს თავის გადახდისუნარიანობას და შეუძლია მიადწიოს გადახდის უფრო ხელსაყრელ პირობებს.
მყიდველს არ შეუძლია დააყოვნოს გადახდა რაიმე პირადი პრეტენზიის საფუძველზე.	პროდუქცია მიწოდებული იქნება აკრედიტაციის განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
თუ მყიდველს სურს გაასაჩივროს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, მან ეს უნდა მოახდინოს აკრედიტაციისაგან დამოუკიდებლად.	მყიდველი იღებს მის მიერ აკრედიტაციით მოთხოვნილ დოკუმენტებს კონკრეტულ ვადაში.
დაეყოვნება, ისეთი როგორცაა საბანკო გადარიცხვა, მაქსიმალურად არის თავიდან აცილებული.	მყიდველი დარწმუნებულია, რომ იგი გადახდის თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები ყველა ასპექტში შეესაბამება აკრედიტაციის პირობებს.
აკრედიტაციის მეშვეობით ტვირთის ღირებულების გადახდა ზოგადად უფრო სწრაფად ხორციელდება	

6 http://www.tbcbank.ge/ge/corporate/finance_insurance_and_investment/international_trade_finance/letters_of_credit/

სისტემის ბარათების გამოშვება, არამედ აღნიშნული სისტემის კომერციული ქსელის განვითარებასთან და მხარდაჭერასთან დაკავშირებული საქმიანობაც არის გათვალისწინებული, ანუ ხელშეკრულებების დადება მაღაზიებთან, რესტორნებთან და სხვა კომერციულ წერტილებთან, რომლებიც ბარათს საგადახდო საშუალების სახით ღებულობენ.

ჩამოთვლილი საბარათე პროგრამები განსაზღვრულ საწყის დანახარჯებსა და ბიზნესის გულმოდგინე დაგეგმვას ითვალისწინებს. საბანკო ბარათების სფეროში ბანკის წარმატება დაფუძნებულია: კლიენტებთან მუშაობაზე; პროცესის ავტომატიზაციაზე; ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე; ან - გარიშსწორების ორგანიზაციაზე (ბუღალტერულ აღრიცხვაზე).

საბარათე ბიზნესში საწარმოო ჯაჭვი შემდეგი რგოლებისგან შედგება: პლასტიკური ბარათების დამზადება მოცემულ საგადახდო სისტემაში დადგენილი ფორმატითა და ბანკის ლოგოტიპით; ბარათის პერსონალიზაცია, ანუ ბარათის ნომრის, კლიენტის გვარისა და ნომრის ამოტვიფრვა, მაგნიტური ველის და/ან ელექტონული ჩიპის კოდირება; კლიენტების საბარათე ანგარიშების გახსნა და მომსახურება; ბარათების მიხედვით ოპერაციების დამუშავება; ოპერაციების მიხედვით ანგარიშსწორების განხორციელება.

საბანკო საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული ოპერაციის საბარათე ანგარიშსწორების სისტემის ძირითადი მონაწილეებია: ბარათის მფლობელი (cardholder); ბანკი-ემიტენტი (issuing bank); სავაჭრო ან მომსახურების სფეროს (მოვაჭრე) საწარმოო (merchant); ბანკი-ეკვაიერი (სავაჭრო საწარმოს მომსახურე ბანკი - acquiring bank, acquirer).

როდესაც ბარათის ემიტენტი ბანკი ბარათს გასცემს, ბარათის მფლობელს სპეციალურ ანგარიშს უხსნის, რომლითაც ბარათთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია გაითვალისწინება. ბარათის მფლობელს ყოველთვიურად ეგზავნება ამონაწერი დავალიანების სიდიდის, ვალის თანხისა და ვალების მითითებით.

საბარათე ანგარიშსწორების სქემა სამი სახეობის ბარათის არსებობას ითვალისწინებს: 1. მოვაჭრესა და ბარათის მფლობელს შორის - საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შესახებ; 2. ბანკსა და მოვაჭრეს შორის — ამ უკანასკნელის მიერ საქონელზე ან მომსახურებაზე გადასახდელად ბარათის მიღების თანხმობის შესახებ; 3. ბანკსა და ბარათის მფლობელს შორის — საკრედიტო ბარათიდან ოპერაციის შესაბამისად მოვაჭრისათვის გადახდა თანხის ბანკისათვის ანაზღაურების შესახებ.

ქვეყნების უმეტესობაში ბარათებთან დაკავშირებული ოპერაციები სპეციალური კანონმდებლობით რეგულირდება.

ანგარიშსწორება ჩეკებით. საანგარიშსწორებო ჩეკებით ანგარიშსწორება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 16 მაისის ბრძანება №37/04), ბანკების მიერ შემუშავებული შიდასაბანკო

ნესებით და ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

ჩეკი ფულის გადამხდელის მიერ თავისი ბანკისთვის მიცემული განკარგულებაა, რომ მისი ანგარიშიდან ჩეკის პატრონს ფულის გარკვეული თანხა გადაუხადონ. ერთმანეთისგან განასხვავებენ ფულად ჩეკებს და საანგარიშსწორებო ჩეკებს. ფულად ჩეკებს იყენებენ ჩეკის მფლობელისთვის ნაღდი ფულის გადასახდელად ბანკში მთლიანად, ხელფასისთვის, სამეურნეო საქმიანობისათვის, სამივლინებო ხარჯებისთვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისთვის და ა.შ.

საანგარიშსწორებო ჩეკები უნაღდო ანგარიშსწორებისთვის გამოყენებული ჩეკებია. ესაა დადგენილი ფორმის მქონე დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის უსიტყვო წერილობით ბრძანებას საკუთარი ბანკისადმი თავისი ანგარიშიდან ფულის გარკვეული თანხა გადარიცხოს სახსრების მიმღების (ჩეკის პატრონის) ანგარიშზე. საანგარიშსწორებო ჩეკს, ისე როგორც გადახდის დავალებას, აფორმებს გადამხდელი, მაგრამ გადახდის დავალებისგან განსხვავებით ჩეკს გადამხდელი გადასახდელის მიმღებ სანარმოს გადასცემს სამეურნეო ოპერაციის შესრულების მომენტში, ის კი ამ ჩეკს თავის ბანკს წარუდგენს გასანაღდებლად.

საანგარიშსწორებო ჩეკები შესაძლოა იყოს დაფარული ან დაუფარავი. დაფარული საანგარიშსწორებო ჩეკების შემთხვევაში შესაბამისი თანხები ჩეკის გამცემი კლიენტის მიერ წინასწარაა დეპონირებული ცალკე საბანკო ანგარიშზე, რაც ამ ჩეკების მიხედვით განაღდება გარანტიას უზრუნველყოფს. დაუფარავი საანგარიშსწორებო ჩეკები ისეთი ჩეკებია, რომელთა მიხედვით სახსრების გაცემის გარანტიასაც იძლევა. ამ შემთხვევაში ბანკი გარანტიას აძლევს ჩეკის გამცემს, რომ თუ მის ანგარიშზე თანხები დროებით არაა, ჩეკების განაღდება ბანკის სახსრების ხარჯზე მოხდება. ბანკის გარანტიების ის თანხა, რომლის ფარგლებშიც ჩეკების განაღდება შესაძლებელი, გარანტი ბანკში აღირიცხება არასაბალანსო ანგარიშზე №9925 (ბანკის მიერ გაცემული „გარანტიები და თავდებობა“).

დასკვნა. კლიენტის მიერ ბანკში წარდგენილ საგადახდო დავალების ნაწილობრივი შესრულების პირობის მითითება დაუშვებელია. ბიუჯეტში გადასახდელზე წარდგენილ საგადახდო დავალებებზე ხელმოწერა დასაშვებია განხორციელდეს მექანიკური საშუალებების გამოყენებით — ფაქსიმილით.

საქართველოს ეროვნული ბანკის, სააღსრულებო ბიუროების, კერძო აღმასრულებლის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის — შემოსავლების სამსახურის მიერ წარდგენილ საინკასო დავალებათა შორის უპირატესობით სარგებლობს საქართველოს ეროვნული ბანკის საინკასო დავალება და მისი შესრულება უნდა განხორციელდეს პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, სხვა საინკასო დავალებებთან შედარებით რა ვადაში იყო წარდგენილი იგი;

აკრედიტივის უპირატესობებია — ექსპორტიორისათვის (გამყიდველისათვის): ბანკი შეასრულებს აკრედიტივით განსაზღვრულ გადახდას მყიდველისაგან დამოუკიდებლად. მყიდველს არ შეუძლია დააყენოს გადახდა რაიმე პირადი პრეტენზიის საფუძველზე; თუ მყიდველს სურს გაასაჩივროს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, მან ეს უნდა მოახდინოს აკრედიტივისაგან დამოუკიდებლად; დაყენება, ისეთი როგორიცაა საბანკო გადარიცხვა, მაქსიმალურად არის თავიდან აცილებული. იმპორტიორისათვის (მყიდველისათვის): აკრედიტივის გახსნით იმპორტიორი ადასტურებს თავის გადახდისუნარიანობას და შეუძლია მიაღწიოს გადახდის უფრო ხელსაყრელ პირობებს; პროდუქცია მიწოდებული იქნება აკრედიტივში განსაზღვრული პირობების შესაბამისად; მყიდველი იღებს მის მიერ აკრედიტივით მოთხოვნილ დოკუმენტებს კონკრეტულ ვადაში; მყიდველი დარწმუნებულია, რომ იგი გადაიხდის თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები ყველა ასპექტში შეესაბამება აკრედიტივის პირობებს.

საბარათო ანგარიშსწორების სქემა სამი სახეობის ბარათის არსებობას ითვალისწინებს: მოვაჭრესა და ბარათის მფლობელს შორის - საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შესახებ; ბანკსა და მოვაჭრეს შორის — ამ უკანასკნელის მიერ საქონელზე ან მომსახურებაზე გადასახდელად ბარათის მიღების თანხმობის შესახებ; ბანკსა და ბარათის მფლობელს შორის — საკრედიტო ბარათიდან ოპერაციის შესაბამისად მოვაჭრისათვის გადახდა თანხის ბანკისათვის ანაზღაურების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://nbg.ge/uploads/legalacts/paymentsysmens/saqartv_unagdo_angarish_wesi_29_05_12.pdf;
2. http://www.tbcbank.ge/ge/corporate/finance_insurance_and_investment/international_trade_finance/letters_of_credit/;
3. http://nbg.ge/uploads/legalacts/paymentsysmens/saqartv_unagdo_angarish_wesi_29_05_12.pdf;
4. http://www.tbcbank.ge/ge/corporate/finance_insurance_and_investment/international_trade_finance/letters_of_credit/;
5. <http://ge.vtb.ge/corporate/documentary/loc/>.